# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

14 ივლისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№28 (9238)
ფასი 40 თეთრი


## ორნიშნა ეკონომიკური ზრდა



**ორნიშნა** ეკონომიკური ზრდა, გაზრდილი ექსპორტი და ტურიზმის აღდგენის დინამიკის გაძლიერება იყო მთავარი თემები ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით გაიმართა.

შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას. ხაზი გაესვა, რომ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის დინამიკა კვლავ გრძელდება, კერძოდ, 2022 წლის მაისში ეკონომიკურმა ზრდამ - 11.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარ-მაისის საშუალო ეკონომიკური ზრდა 11.2 პროცენტით განისაზღვრა.

ასევე, განიხილეს ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები, მათ შორის, ადგილობრივი ექსპორტის მიმართულებით დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციები და ტურიზმის აღდგენის დინამიკის გაძლიერება. აღინიშნა, რომ 2022 წლის მაისში ექსპორტი გაიზარდა 54.3 პროცენტით, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი - 63.3 პროცენტით. ტურიზმზე საუბრისას კი ხაზი გაესვა, რომ იანვარ-მაისში მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დონე 75.3 პროცენტია და შემოსავლებმა 840.9 მლნ აშშ. დოლარი შეადგინა.

ტურიზმის აღდგენის დინამიკაზე საუბრისას აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში 445,894 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა და ზრდა 2021 წლის ივნისის თვესთან შედარებით 185.5 პროცენტია. ასევე, 2022 წლის 6 თვეში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1,209,272 შეადგინა, რაც 186.3 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ასევე განიხილეს დადებითი ტენდენციები, რაც ბიუჯეტის შესრულების მიმართულებით 2022 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა. ხაზი გაესვა, რომ გადაჭარბებით შესრულდა, როგორც შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი, ასევე საგადასახადო შემოსავლებიც. ისევე, როგორც ნაერთი ბიუჯეტი, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებიც, რომლის მოცულობამ 9,1 მლრდ ლარი შეადგინა. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელმა მხოლოდ 0,3 შეადგინა, რაც აჩვენებს, რომ გრძელდება დაგეგმილი ფისკალური კონსოლიდაცია და წლის ბოლომდე შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვნად შემცირდეს მისი წლიური მაჩვენებელიც და ნაცვლად თავდაპირველად პროგნოზირებული 4,4-სა, მისი მაჩვენებელი 3,5%-ზე დაბალ ნიშნულამდე შემცირდეს.

## „თებე-ლენდის“" გახსნის ღონისძიება

**ბორჯომში** „თებე-ლენდის გახსნის ღონისძიებას სამცხის მაჟორიტარი დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის **მერი ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე,** ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღნიშნულ ინფორმაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს პროექტის შედეგად შექმნილი სანერგეები და „თებე-ლენდის“ ტერიტორია, ასევე დღის ცენტრი „თებეს“ ბენეფიციარების მიერ დამზადებული ნამუშევრები.

- დღის ცენტრი „თებეს“ ახალი პროექტის „თებე-ლენდის ფარგლებში, შეიქმნა სანერგე მეურნეობა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობით, მოხდა ნერგების გამოყვანა. პროექტის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი სანერგე-მეურნეობის შექმნისა და შემდგომ აქტივობებში ჩართვის გზით. ასევე პროექტი თავისი შინაარსით სარგებლის მომტანია ბორჯომში ხანძრის მიერ დაზიანებული ტყის საფარისთვის.

პროექტის ყველა აქტივობა განხორციელდა „თებეს“ დღის ცენტრის თანამშრომლებისა და ცენტრით მოსარგებლეების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ბავშვების ჩართულობით. ცენტრის ბენეფიციარები და თანამშრომლები ჩართულები იყვნენ ნერგისა და ახალგაზრდახის მოვლის ტრენინგში. გარდა ამისა, ცენტრის ბენეფიციარებსა და თანამ-



შრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები კატასტროფის რისკის შემცირების ინკლუზიური მეთოდისა და კლიმატური ცვლილებების შესახებ.

დღის ცენტრის ხელმძღვანელმა **ნანა ლომაძემ** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს **ოთარ არბოლიშვილს** მადლობა გადაუხადა „თებე-ლენდის პროექტის მხარდაჭერისთვის“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ისტორიულ ციხეებს ახალი სიცოცხლე

**ხერთვისის** ციხეში, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების აღდგენის და ფუნქციური გაცოცხლების საკითხზე თემატური მოკვლევის დაწყების პრეზენტაცია გაიმართა.

თემატური მოკვლევა იძლევა შესაძლებლობას ფართო დისკუსიით მოხდეს სხვადასხვა მიმართულებით პოლიტიკის განსაზღვრა, ჩამოყალიბება და რეკომენდაციების მიცემა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის.

სად თუ არა აქ, ამ ისტორიულ კედლებში შეიძლება ისაუბრო იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი 1000-მდე ციხე-სიმაგრისთვის ახალი ფუნქციის შეძენა, როგორ შეიძლება რომ ამ საამაყო ძეგლებმა უფრო მეტი ადამიანი მიიყვანოს თავისთან და ამოგზაუროს დროში.

## ქუჩები ახალი სამისამართო აბრებით დამშვენდა



ბორჯომში, ნოდარ დუმბაძის, მერაბ კოსტავას, კონსტანტინე გამსახურდიას, ერეკლესა და 9 აპრილის ტურისტულ ქუჩებზე 200-მდე ახალი დიზაინის სამისამართო აბრა გაიკვრა.

აბრის დიზაინი ქუჩების მიხედვით ინდივიდუალურად შეირჩა.

## დანიშვნა



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების უფროსად კონკურსის წესით **შალვა გოგოლაძე** დაინიშნა.

შალვა გოგოლაძე, 2014-2022 წლებში მუშაობდა ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო პროფესიულ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, ხოლო 2001-2015 წლებში იყო მოძრაობის თეატრის მსახიობი.

2011-2014 წლებში არაერთ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობდა:

საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია - ზაფხულის სეზონის გახსნის ღონისძიების ორგანიზება ქალაქ ბორჯომში. ასევე, ორგანიზება გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ბორჯომში. მონაწილეობდა სხვადასხვა სპექტაკლებში. მოწყობილი აქვს ქუჩის კარნავალი, საჰაერო შოუ, თეატრალიზებულ შოუ და სხვა.

შალვა გოგოლაძეს დამთავრებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურის და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, კინოსა და თეატრის სამსახიობო ფაკულტეტი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს კულტურის დარგში ახალი თანაშემწე ჰყავს. ამ თანამდებობაზე **გიორგი ბუგიანიშვილი** დაინიშნა.

გიორგი ბუგიანიშვილი, 2001 წლიდან დღემდე ანსამბლ „თეატრალებს და ბიჭუნათა ფოლკლორულ ანსამბლ „ჩოხოსნებს“ ხელმძღვანელობს.

1995-2002 წლებში მღეროდა სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავში. 1992-1995 წლებში იყო ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლ ,,მართვეს“ ხელმძღვანელი. ხოლო, 1981-1990 წლებში იყო ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლ „მართვეს წევრი.

გიორგი ბუგიანიშვილის დამთავრებული აქვს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი. ასევე, მან განათლება მიიღო მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ინოვაციური პროექტის ფესტივალი

**6 ივლისს,** პროექტის ,,სკოლის ინოვატორთა კლუბების ფარგლებში, ბორჯომში ინოვაციების ფესტივალი გაიმართა. პროექტში მონაწილეობდნენ ბორჯომისა და ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ფესტივალი ბორჯომის მერის მოადგილის **იოსებ რაზმაძის** და ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის **იზოლდა ლომიძის** მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა.

მონაწილეების ჩართულობით მოეწყო სამუშაო სივრცე, სადაც მათ ჩაუტარდათ სესიები მეწარმეობისა და ინოვაციების თემაზე.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ალტე უნივერსიტეტთან ერთად.

## ტკივილიანი გამოთხოვება



**56 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მაღალი პასუხისმგებლობის და მრავალი ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნება, ბატონი იოსებ (სოსო) რაზმაძე.**

**ბატონი იოსებ რაზმაძე დაიბადა 1966 წლის 9 აგვისტოს ქ. ბორჯომში; 1983 წელს დაამთავრა ბორჯომის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლობდა პოლიციის აკადემიაში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. წლების მანძილზე მუშაობდა შინაგან საქმეთა ბორჯომის რაიონის სამმართველოში სხვადასხვა პოზიციებზე.**

**2021 წლის 21 თებერვლიდან დაინიშნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ, სადაც უნარიანად ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციულ, იურიდიულ, კულტურის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის, ასევე სოციალურ სამსახურსა და მერიის ა(ა)იპებს. სამწუხაროდ, დაახლოებით მხოლოდ ერთი თვე მოუწია მერის პირველ მოადგილედ მუშაობა. მისი სახით მუნიციპალიტეტმა დაკარგა შესანიშნავი ხელმძღვანელი.**

**დარჩა მეუღლე და ორი შვილი.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლებისა და თანამშრომლების მეხსიერებაში.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტი.**



ინტერვიუ აქტუალურ თემაზე

# ბაკურიანის განვითარების სააგენტოს პირველი ნაბიჯები საიმედოა

**ბაკურიანის განვითარების სააგენტო უკვე ექვსი თვეა რაც ფუნქციონირებს, რა სამუშაოები ჩატარდა ამ ხნის განმავლობაში, ამჟამად რა პროექტები ხორციელდება და რა დამატებითი პრობლემები გამოიკვეთა მუშაობის პროცესში, ამ და სხვა კითხვებზე გვპასუხობს ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი, ქალბატონი ეკა ორჯონიკიძე.**

– **ნახევარი** წელია, რაც ბაკურიანის განვითარების სააგენტო ფუნქციონირებს, ზამთრის სეზონი ჩავატარეთ მეტ-ნაკლებად განსაკუთრებული შემთხვევების გარეშე. უთოვლო ბაკურიანი უფრო რთული აღმოჩნდა პრობლემების გადაჭრის კუთხით, ვიდრე თოვლიანი. წინა ინტერვიუშიც აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ, რომ უპირველესი პრობლემა არის კანალიზაციის და გზების გაუმართაობა. მე შევხვდი ორივე უწყების თანამშრომლებს. ახლა მიმდინარეობს გზების დაზიანებული ნაწილების რეაბილიტაცია. დიდველამდე მისასვლელი ორკილომეტრიანი გზა მოწესრიგდება მთლიანად, თავისი საფეხმავლო ბილიკებით და საჰაერო და მიწისქვეშა კომუნიკაციებით (ბუნებრივი აირი, დენი, სილქნეტი, მაგთი), - ყველასთან გვაქვს წერილები გაგზავნილი, რომ მოაწესრიგონ ეს კომუნიკაციები. გაზის მილები სავარაუდოდ მიწაში ეწყობა.

პარალელურად მიმდინარეობს ოთხი ჩიხის რეაბილიტაცია და უახლოეს მომავალში დასრულდება. ყველა პროექტების განხორციელებაში ჩვენი სააგენტო აქტიურადაა ჩართული, რადგან არ გვინდა სანახევროდ შესრულებული პროექტები შეგვრჩეს ხელში. ჩვენი ინიცირებით დაიწყო ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზის, ე.წ. „კუკუშკას" პროექტის რეაბილიტაციაზე ზრუნვა. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება. პირველი შეხვედრა შედგა კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის ხელმძღვანელობასთან, შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლები. ვისაუბრეთ პროექტის მნიშვნელობაზე, მოგეხსენებათ, 120 წლის შესრულდა „კუკუშკა" და თუ გასულ საუკუნეში იყო შესაძლებლობა ამხელა პროექტი განხორციელებულიყო, დღეს რატომ უნდა გადავდოთ გვერდზე მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. პროექტი ძვირია, 80 მილიონი ლარი ჯდება. პლუს აუცილებელია სადგურების განახლება, რომლებიც ასევე წარმოადგენენ კულტურულ ძეგლებს, როგორც თვითონ „კუკუშკა". ამ კუთხით მზაობა გამოთქვა კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტომ, ისინი დაიწყებენ ამ პროექტზე მუშაობას. მთავარია, ტექნიკური დავალება გაიცეს და მომზადდეს კონცეფცია, დაიხვეწოს ხარჯთაღრიცხვა. მე ვთვლი, რომ აუცილებელია ბიზნეს სექტორის ჩართვა.

ასევე წინა კვირას გვქონდა შეხვედრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ქალბატონ **ნინო დობორჯგინიძესთან,** ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღის თაობაზე, რომ ფართოდ გავაღოთ მისი კარი ყველასთვის. ჩვენი თაობა ამ ბოტანიკურ ბაღში გაიზარდა, გვიყვარდა და გვიყვარს იქაურობა. ახლა ბევრმა არც კი იცის მისი არსებობის შესახებ. ასევე ილიაუნთან ჩვენ ვამზადებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომ იმ ნაწილში, სადაც ჩვენი ჩართულობა იქნება საჭირო, მივეხმაროთ ყველაფერში - შესასვლელი გზის მოწესრიგება იქნება ეს, ურნების და სკამების განთავსება თუ სხვა რამ. უნდა შეიქმნას დასასვენებელი სივრცე. ისინი უკვე მუშაობენ კონცეფციაზე და პროექტზე. ჩართულია ასევე ბოტანიკის ინსტიტუტი, ბატონი ნუკრი სიხარულიძე წლებია რაც მონიტორინგს უწევს ბოტანიკურ ბაღს. წელს ფართოდ გავაღებთ ბოტანიკური ბაღის კარებს. შესვლა თავდაპირველად უფასო იქნება, რადგან ჯერ ვერანაირ სერვისს ვერ ვთავაზობთ ვიზიტორებს და შემდგომ რომ დაიხვეწება და თვითონ ბოტანიკური ბაღიც გამდიდრდება ახალი ნარგავებით, შევხედავთ. ძალიან დიდი გეგმებია ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით, შემდეგ შეიძლება სიმბოლური გადასახადიც შემოვიღოთ, რათა ბაღმა ელემენტარულად თავი ირჩინოს. ბაკურიანში რამდენიმე ძველი ხის სახლია შემორჩენილი და ძალიან მინდა კულტურულ მემკვიდრეობად ვაქციოთ ისინი. წელიწადში ერთი მაინც რომ აღვადგინოთ, დიდი საქმე გაკეთდება. ასევე მალე ანდეზიტსა



და ციხისჯვარსაც შემოუერთებენ სააგენტოს.

● **როგორ დაკომპლექტდა სააგენტო, როგორ შეირჩა კონტიგენტი, რამდენად კომპეტენტურები არიან თანამშრომლები იმ კონკრეტულ საქმეში, რომელსაც ასრულებენ?**

- პირველ რიგში ჩვენ შევძელით და თითქმის არაფრისგან შევქმენით ბაკურიანის განვითარების სააგენტო. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ჩამოვაყალიბე არაჩვეულებრივი გუნდი. ყველა მისვამს შეკითხვას, სად მოძებნე ამდენი კომპეტენტური ადამიანიო. ჩავატერეთ ღია კონკურსი, მოვიდნენ უნიჭიერესი ადამიანები და ამ ღია კონკურსით ავიყვანეთ და შევკრიბეთ გუნდი. მართლა ბედნიერი ვარ ჩემი გუნდით. უკვე სრულიად დაკომპლექტებულია ადმინისტრაციის, დასუფთავების, ტრანსპორტის სამსახურები. ახლა გამოვაცხადეთ რამდენიმე ვაკანსიაზე კონკურსი და ვიმედოვნებ ამ პოზიციებზეც კომპეტენტური ადამიანები მოვლენ. 1 ივნისიდან ოფიციალურად გადმოგვეცა არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურები, ასე რომ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ვაკეთილშობილებთ ბაკურიანს. ჩემი ინიცირებით დაემატა გამწვანებისა და ეკოლოგიის სამსახური და ლოკალურად დავიწყეთ ბაკურიანის გამწვანება. ბაკურიანი უნდა ასოცირდებოდეს რეკრეაციასთან, მაგრამ სამწუხაროდ, ასოცირდება ბეტონთან. და ჩვენ გვინდა ეს სტერეოტიპი დავარღვიოთ. ყველანაირად ვუწყობ ხელს ჩემს თანამშრომლებს, შეუძლებელია ადამიანს, რომელიც შრომობს, 300-400 ლარი ჰქონდეს, ამიტომ ყველას მოვუმატე ხელფასი. ჩემთვის პრიორიტეტია ხელფასი. როცა შენ უქმნი ღირსეულ გარემოს შენს თანამშრომელს, ისინიც თავდაუზოგავად მუშაობენ.

● **რა ეტაპზეა ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროცესი?**

- პარკის სამუშაოები ძალიან აქტიურ ფაზაშია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს კომუნიკაცია და კოორდინაცია, მაქსიმალურად გვერდში ვუდგავართ. სამუშაოების დამთავრების ვადა წელიწადნახევარია, მომავალ წელს უნდა დამთავრდეს რეაბილიტაცია, რადგან ზამთრის სეზონი ხელს შეუშლის სამუშაოებს (სიცივე, თოვლი).

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ მოსახლეობასთან, კერძო სექტორთან, სასტუმროებთან?**

- მოსახლეობასთან და კერძო სექტორთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა მაქვს. სასტუმროების მფლობელებთან საერთო ჩატი და ყოველდღიური კომუნიკაცია. ინფორმაციას ნებისმიერ პრობლემაზე ისინი აგდებენ ჩატში და ჩვენ ვრეაგირებთ მყისიერად. რაც შეეხება მოსახლეობას, დილიდან დაღამებამდე გარეთ ვარ და მათთან ვკონტაქტობ, ვითვალისწინებ თითოეული მოქალაქის წინადადებას, კრიტიკას თუ დადებით პოზიციას. ასევე ვაპირებთ ყუთების დადგმას, სადაც მოქალაქეები, ვისაც არ აქვს წვდომა სოციალურ ქსელებთან, ან უნდათ რომ ინკოგნიტოდ დარჩნენ, თავის მოსაზრებას დაწერენ ჩვენი მუშაობის შესახებ და ჩააგდებენ ამ ყუთებში - კრიტიკა იქნება ეს თუ თხოვნა ან მოსაზრება, ჩვენ ყველას მიმართ გახსნილები ვართ. რეაგირებაც სწრაფი გვექნება. მე ეს ადამიანები მიყვარს და მათზე ვზრუნავ, არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა მათ სტატუსს და წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, ეროვნებას და არც სექსუალურ ორიენტაციას.

● **როგორია სოციალური ფონი ბაკურიანში?**

- სოციალური ფონი არ არის რთული და ისეთი როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, რადგან საკურორტო ზონაა. პირიქით, სასტუმროების ქსელში ყოველდღიურად ეძებენ თანამშრომლებს და ხშირად ვერ პოულობენ მუშახელს და ჩამოყავთ სხვა რეგიონებიდან. ასე რომ, დასაქმების კუთხით აქ რთული სიტუაცია არ არის, თუ უნდა ადამიანს, ნამდვილად იპოვის სამუშაოს. ჩემთვისაც მთავარი პრიორიტეტი იყო და არის ბაკურიანელების დასაქმება.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ მთის განვითარების სააგენტოსთან და რა სამუშაოები მიმდინარეობს 2023-2025 წლისთვის ჩასატარებელ საერთაშორისო ტურნირებისთვის?**

- მთის განვითარების სააგენტოსთან მაქვს არაჩვეულებრივი ურთიერთობა, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთ საქმეს ვაკეთებთ, ბაკურიანს ვემსახურებით. 2023-2025 წლის ტურნირებისთვის ხელოვნური ტბების გაშენება აქტიურ ფაზაშია. მთის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სსიპ-მა. თითქმის ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს ამ უწყებასთან და სრული კოორდინაცია. ასე რომ, უსაქმოდ არ ვართ!

ესაუბრა
**რუსუდან სხირტლაძე**

„ბორჯომის" ინტერვიუ

# ისტორიული პარკი სტუმრების მოლოდინში

**საკურორტო სეზონი ბორჯომში 1 ივლისს ოფიციალურად გაიხსნა. რამდენიმე წლიანი კოვიდ რეგულაციების მოხსნის შემდეგ ისტორიული პარკი ადგილობრივებს თუ ჩამოსულ დამსვენებლებსა და ტურისტებს სიახლეებით შეხვდა. პარკში უკვე ჩატარებული და ახლო მომავალში დაგეგმილი სამუშაოებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ ისტორიული პარკის დირექტორი ბატონი *ლერი გელაშვილი* გვესაუბრება:**

● **ბატონო ლერი, რამდენად მომზადებული შეხვდა ბორჯომის ისტორიული პარკი დამსვენებლებს? რა სახის ღონისძიებები განხორციელდა 2022 წლის საკურორტო სეზონისათვის?**

- საკურორტო სეზონი ტრადიციულად წელსაც 1 ივლისს გაიხსნა ოფიციალურად. პარკის ატრაქციონები ბავშვებს როგორც ყოველთვის უფასოდ მოემსახურა ინფრასტრუქტურული სამუშაოების უმეტესი ნაწილი დასრულებული სახითაა წარმოდგენილი, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ნაწილი სამუშაოებისა ჯერ კიდევ დასამთავრებელია. ხიდები მთლიანდ შეღებილია, რაც მთავარია, ატრაქციონებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ყველა მათგანი გამართულად მუშაობს.

● **პარკის ტერიტორიაზე მდებარე კვების ობიექტებთან დაკავშირებითაც გარკვეული სახის ცვლილებები განხორციელდა. ამაზეც რომ გვესაუბროთ...**

- საგრძნობლად შევამცირეთ პარკის ტერიტორიაზე წლების მანძილზე არსებული კვების ობიექტები. გაყიდვიდან ამოვიღეთ ყავა, ბამბის ნაყინი და ყველა ის კვების ობიექტი, სადაც აირზე ცხობადი საკვები იყიდებოდა და გამოყოფდა უსიამოვნო სუნს. დავტოვეთ კაფე-ბარი „ჩანჩქერი", რომელიც იჯარით გადავეცით და დღედღეზე დაიწყებს მუშაობას. აღნიშნულ კაფე-ბართან ერთად ტერიტორიაზე მაქსიმუმ სამი-ოთხი ობიექტი იმუშავებს, სადაც გაიყიდება ჩამოსასხმელი ნაყინი, ცივი წვენები და ა.შ. ან მსგავსი სახის პროდუქტები.

● **პანდემიის პერიოდში პარკში შესვლა ვიზიტორებისათვის სრულიად უფასო იყო. 2022 წელს ბილეთის ტარიფთან დაკავშირებით ცვლილებებია. რა ცვლილებებზეა საუბარი?**

- დიახ, ამ ეტაპზე უკვე ბილეთის ფასი უცხოელებზე გვაქვს 5 ლარი, საქართველოს მოქალაქეებზე 2 ლარი, 8 წლამდე ბავშვებზე უფასო, 8-დან 16 წლამდე მოზარდებისთვის 1 ლარი, შშმ პირები, ომის ვეტერანები, პენსიონერები და სოციალურად დაუცველებისათვის არის უფასო. ასევე უფასოა პარკში შესვლა ნებისმიერი ბორჯომელისათვის.

● **საკმაოდ განსხვავებული დიზაინის მქონე წიგნის ფორმის გასაშლელი დახლები განთავსდა პარკის ტერიტორიაზე. სულ რამდენი ასეთი ფორმის „წიგნია" განთავსებული და რა სახის პროდუქცია გაიყიდება აღნიშნულ დახლებზე?**

- პარკის ტერიტორიაზე სულ 8 ასეთი „წიგნი-დახლია" განთავსებული. აღნიშნული დახლების დიზაინი არის ბათუმში არსებული „წიგნი-დახლების" ანალოგი და აქ არსებულიც ასევე ბათუმშია დამზადებული. აღნიშნულ დახლებზე გაიყიდება სხვადასხვა სახის პროდუქცია. მაგალითად, ზოგან იყიდება ვერცხლის ნაკეთობები, ზოგან ხელნაკეთი ნივთები თუ სხვადასხვა სახის სათამაშოები. ერთი დახლი უსასყიდლოდ, ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადავეცით სოციალურ საწარმო „თებეს", სადაც მათი ბენეფიციარების ნამუშევრებია წარმოდგენილი, ხოლო მეორე დახლი უსასყიდლოდ ტრენინგ ცენტრის მოსწავლეებს.

● **რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე ატრაქციონსაც. რომელ ატრაქციონებზეა საუბარი?**

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა აბსოლუტურად ყველა ატრაქ-



ციონს. ე.წ. „გემ-კარაველას", სრული დემონტაჟი მოვახდინეთ ცოტა ხნის წინ, რადგანაც საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უდიდესი მადლობა გადავუხადო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს და მის წარმომადგენლობას, რომლებმაც შეგვიძინეს აღნიშნული გემი და დღედღეზე ჩამოვა, ივლისის ბოლომდე ახალი, შედარებით ოდნავ განსხვავებული დიზაინის მქონე გემი დახვდებათ ადგილობრივებსა და ჩამოსულ პატარებს.

● **პარკის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროელექტროსადგურის შენობის მიმდებარედ არსებული მუზეუმის გარდა ვიცით, რომ იგეგმება ღია მუზეუმისათვის გარკვეული სივრცის მოწყობა. სად შეირჩა სივრცე აღნიშნული მუზეუმის მოსაწყობად?**

- პარკის ტერიტორიაზე წლების წინ არსებობდა ღია ტიპის მუზეუმი, რომელიც სამწუხაროდ დღეს აღარ არის. თუმცა, ზემოთ, სადაც მოზაიკით შესრულებული კედელია მის მოპირდაპირე მხარეს არის სივრცე, სადაც შემორჩენილია ძველი ნივთები. ამ მიმართულებით გვყავს გიდი, რომელიც დეტალურად ერკვევა აღნიშნულ საკითხებში და მასთან ერთად, ერთობლივი ძალებით ვცდილობთ, თავი მოვუყაროთ ძველ ნივთებს და გარკვეული ადგილი დავუთმოთ.

● **რა ბედი ელის ყოფილ საკურორტიო დარბაზს, ამასთან დაკავშირებით რა სახის ინფორმაციას ფლობთ?**

- სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხის შესახებ ამომწურავი პასუხი არ გამაჩნია. კულტურული მემკვიდრეობის საკუთრებას წარმოადგენს და ფაქტიურად, პარკის ადმინისტრაციაც შემოკედლებულები ვართ. საუბარია შენობის სრულ რეაბილიტაციაზე.

● **კიდევ რა სახის სამუშაოების ჩატარება იგეგმება ახლო მომავალში (ცენტრალურ) ისტორიულ პარკში, რაც დღემდე არ ჩატარებულა და ნამდვილად მნიშვნელოვანია?**

- გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია, რადგანაც სუბიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ამ დრომდე სრულად სამუშაოების ჩატარება. როდესაც სეზონი დასასრულისკენ წავა და დამსვენებლების რაოდენობა შემცირდება, გავაგრძელებთ სამღებრო სამუშაოებს. გოგირდის აბანოებამდე გზა გვაქვს გასაკეთებელი და ისიც დასრულდება. ასევე შვიდგზის მონაკვეთი უკვე დასრულდა, რომელიც საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო. მადლობა ჩემ კოლექტივს, თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც მუხლჩაუხრელად, ყოველდღიურად მუშაობენ იმისთვის, რომ ისტორიული პარკი მზად ყოფნაში დახვდეს წლის ნებისმიერ დროს ჩამოსულ სტუმრებსა თუ ადგილობრივ მოსახლეობას.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

### მიხეილ ზედელაშვილი 85 წლისაა

# სამშობლოს სიყვარულში დამაშვრალი

**ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა!**

**ამას წინათ, ჩემმა ახალდაბელმა მეგობარმა მიხეილ ზედელაშვილმა ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით ნახევარგვერდიანი მოსალოცი ბარათი დამიწერა და მომართვა. მილოცავდა დაბადების 75-ე წლისთავს! გამეღიმა და ვუთხარი: სამი წლით რატომ დამაბერე-მეთქი? მასაც გაეღიმა და მითხრა: სიბერის ბრალიაო!**

**მეც სიბერის გამო მომივიდა: დაბადების 85-ე წლისთავს დაგვიანებით რომ ვულოცავ ამ წერილით! რატომღაც მახსოვდა, რომ მისი დაბადების თვე ივლისი იყო. 35 წლის წინათ მისი დაბადების 50-ე წლისთავზე გაზეთში წერილი დავბეჭდე სათაურით „მზე შუადღისა“. ამ წერილში იოსებ ნონეშვილის სტრიქონებიც მოვიყვანე: „მზე შუადღისა უფრო ცხელია, უფრო მწველია, უფრო თაკარა“. ჰოდა, უფრო მწველი და ცხელი მზე ივლისშია და სწორედ ამან შემაცდინა. ბატონი მიხეილი კი 18 ივნისს არის დაბადებული. ამ შეცდომაში დიდი წვლილი სიბერესაც მიუძღვის. ასე, რომ მე და ჩემი უფროსი მეგობარი „ბარი-ბარში“ ვართ(!)**

**მრგვალი,** საიუბილეო თარიღები თუ ვინმეს აქვს მისალოცი, ეს ბატონი მიხეილია, რომელიც მრავალი ადამიანური ღირსებით არის შემკული. **ბუნების მოტრფიალე** და **მეტყევე-ინჟინერი** ხომ არის და არის (თანაც როგორი!), ამავე დროს არის მუსიკოსი, ბორჯომში და ხაშურში სასულე ორკესტრების შემქმნელ-ჩამომყალიბებელი. ასაკოვან ადამიანებს კარგად გვახსოვს, მის მიერ შექმნილი სასულე ორკესტრის ჰანგებზე ქალაქის ცენტრში რომ იმართებოდა დემონსტრაციები, უკრავდა ისტორიულ მინწყლების პარკშიც. ამ ორკესტრით მრავალი ახალგაზრდა ეზიარა მუსიკალურ განათლებას და კულტურას. ბორჯომელთა ორკესტრი ხშირად მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ კონკურსებში და მრავალჯერ დაიკავა საპრიზო ადგილი.

ბატონი **მიხეილი არის სახალხო მკურნალი;** იცის, რომელი ბალახი თუ ხილ-კენკრა რისი წამალი და გამ-



აჯანსაღებელია. მან გამოსცა აგრეთვე ბროშურა „პირუტყვის მკურნალობა ხალხური მედიცინის მიხედვით“. ეს პატარა წიგნი, რომ იტყვიან, დაიტაცეს მესაქონლე-ფერმერებმა.

ბატონი მიხეილი არის **დაბა ახალდაბის** პირუთვნელი **მეისტორიე.** მან რამდენიმე წიგნი-ბროშურა გამოსცა ახალდაბელებზე, ახალდაბელ გამოჩენილ ადამიანებზე (თუმც ზოგიერთი სამართლიანად დაემდურა და მომავალში გამოასწორებს) თუ სპორტსმენებზე, ომში დაკარგულებზე. სულ ახლახანს ბროშურა ფოთოლეთის მონასტერს მიუძღვნა. ხშირად მიფიქრია, ნეტავ ასეთი მზრუნველი, მოამაგე და მოყვარულ-დამფასებელი ყველა ჩვენს დაბასოფელს ჰყავდეს-მეთქი.

არის კარგი მეოჯახე, დიდებული მამა და ბაბუა. მან და მისმა აწ გარდაცვლილმა მეუღლემ აღზარდეს, რომ იტყვიან, თითით საჩვენებელი ქალ-ვაჟი: მაია და ლევანი. მაია ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მოწინავე პედაგოგია, ლევანი - ახალდაბაში განთქმული მეავეჯე. ლევანი მოჭადრაკეცაა, არის რაიონის მრავალგზის ჩემპიონი. მან, ჯერჯერობით ერთ-ერთმა, შეასრულა ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატის ნორმა და საქართველოში ჩატარებულ შეჯიბრებებში მრავალჯერ უსახელებია მშობლიური ბორჯომი და ახალდაბა. ჰყავს სამი შვილიშვილი. ლევანის ვაჟი ლუკა უკვე 18 წლისაა და მამის კვალს მისდევს ხელოსნობაში და ჭადრაკის სიყვარულში. მაიას ორი გოგო - მშობლებივით მუსიკოსები არიან.

ბატონი მიხეილი წარმოშობით გერმანელია (ზეიდელი). მისი პაპა ექიმად მოიწვია მეფისნაცვალმა ბორჯომში. მამა მუსიკოსი იყო. ომის წლებში გერმანელობის გამო მიხეილის ოჯახიც **გაასახლეს შუა აზიაში.** იქ დაამთავრა საშუალო სკოლა. რაც მას ტანჯვა გადაუტანია, ვინ მოთვლის! მიუხედავად ამისა, იგი ცხოვრებამ მაინც ვერ გააბოროტა, პირიქით, საოცრად კეთილშობილ ადამიანად აქცია.

და მაინც, **იგი დიდი მეცნიერია, ბუნების დიდი მცოდნე და მოამაგე, ამის გამო „მინდიასაც“** უწოდებენ. თავის დროზე ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მოსკოვში. ძალზე წუხს, რომ ბუნების სიკეთეს სრულად ვერ იყენებენ ადამიანები ახალდაბაში, ბორჯომში თუ სრულიად საქართველოში. წუხს იმაზე, რომ ტყეში უამრავი ხე ლპება, არ ხდება მისი გამოტანა და ტყის გაწმენდა. ახალდაბში, მაგალითად, არ აძლევენ აქაურ მცხოვრებლებს საშუალებას, რომ დალპობამდე ამ ტყით ისარგებლონ. ამას წინათ, ახალდაბელებმა აქცია მოაწყვეს და რიონის ხელმძღვანელობას შესჩივლეს თავის გასაჭირზე.

ახლა სხვებთან ერთად მეცნიერებს და ხელოვანებს ძალზე უჭირთ. ქვეყანაში არეულობის შემდეგ ბატონ მიხეილსაც ძალიან გაუჭირდა, მხოლოდ პენსიაზე დარჩა. ამ რამდენიმე წლის წინ რაიონის ხელმძღვანელობას მიმართა დახმარებისთვის. მას, როგორც ღვაწლმოსილ და გამოჩენილ ადამიანს, დაენიშნა დამატებითი გასამრჯელო, ყოველთვიური 100 (ასი) ლარი. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის წინ დაარსებული ეს ფული მართლა ფულობდა, ახლა კი, ცხოვრების გაძვირების გამო, ამას ველარ ვიტყვით! ვიცით, რომ მერიამ თავის 21 პროექტიდან მრავალ ბენეფიციარს გაუზარდა თანხა. ნამდვილად საჭიროა ამ თანხის გაზრდაც, (გაორმაგება), რათა ღირსეული ადამიანები ღირსეულად დაფასდნენ!

და, ბოლოს, ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარი და შტატგარეშე კორესპონდენტია. მისი პუბლიკაციები ამშვენებს ჩვენი გაზეთის ფურცლებს თავისი პრობლემატურობით, ბუნების, ადამიანების და სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობით და რაც მთავარია, სიმართლით და პირდაპირობით..

კვლავ სიმხნევე, წელთა სიმრავლე და გამძლეობა ვუსურვოთ ბატონ მიხეილს!

**P.S. ამ სამი ათეული წლის წინ ბატონმა მიხეილმა ახალდაბის მმართველი ორგანოს არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. ვერ გაიმარჯვა. გამახსენდა სამწუხარო პარალელი: ვერც აკაკი წერეთელმა გაიმარჯვა საჩხერესა და ქუთაისში!!!**

**მაინტერესებს, რამდენიმე საიუბილეო თარიღის გადამტან ამ ღირსეულ პიროვნებას ნეტავ თუ როდესმე გადაუხადა იუბილე მშობლიურმა ახალდაბამ? ჩემი აზრით ამ მხრივ მის მიმართ ვალშია ბორჯომიც!**

**უშანგი ჯანგირაშვილი**

## SOS განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს!

**ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოს უდიდესი ხელმწიფის დავით აღმაშენებლის თანამებრძოლი და მეგობარი გახლდათ დიდგვაროვანი ბაკურიანი. მეფე დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ბაკურიანი აღიკვეცა ბერად. მისი სახელობისაა ჩვენი ბაკურიანი.**

**ბაკურიანზე, როგორც მსოფლიოში აღიარებულ სამთო-სათხილამურო ცენტრის მნიშვნელობაზე, ბევრი თქმულა და დაწერილა. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ბაკურიანი აღიარებულია როგორც მაღალი დონის სამთო-კლიმატური კურორტი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისი ასეთი პოპულარობა.**

**სწორედ ბაკურიანის ასეთმა აღიარებამ გამოიწვია დაბაში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, ახალი ბაზების, თანამედროვე საბაგირო გზების მშენებლობა.**

**ძალიან კარგია, რომ კურორტზე აღმშენებლობის ბუმია. გაიზარდა დამსვენებელთა და სპორტსმენთა რაოდენობა, დასაქმდა ასობით ადამიანი, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მშენებლობები ხშირად კანონის და დადგენილი ნორმების დარღვევით მიმდინარეობს, რაც უსახურს ხდის აღიარებულ სამთო კურორტის იერ-სახეს. ასეთი მშენებლობები ძირითადად ხორციელდება წრიული გზის გასწვრივ და მიტარბისკენ მიმავალ გზაზეც.**

**მიხარია ძმები ლაშა და გიორგი გოგოლაძეების სამშენებლო კომპანიის მიერ დამტკიცებული პროექტების შესრულება: (ადგილმდებარეობის სწორი შერჩევა, კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის შესყიდვა და მშენებლობის მიმდინარეობა, დამთავრებული ნაგებობების მთლიანი კეთილმოწყობა).**

**გულდასაწყვეტია, რომ ბაკურიანის ცენტრში, უძველესი დასასვენებელი პარკის ტერიტორია ფაქტიურად, მიტაცებული აქვთ კერძო პირებს, რომლებიც აპირებენ 4-5 სართულიანი და განუსაზღვრელი სიგრძის შენობების აშენებას. ე.წ. „მესაკუთრეს“ შენიშვნა მივეცი, რაზეც ბილწსიტყვაობით და ყვირილით განაცხადა: - დოლარებით მაქვს ნაკვეთი ნაყიდი და ვინც შემეწინააღმდეგება, ყოველთვის ბილწსიტყვაობით გავისტუმრებო!, ხოლო რაც შეეხება ყოფილ „დინამოს“ მეპატრონეს, თითქმის განუსაზღვრელად „დაეპატრონა“ პარკის ტერიტორიას. ამაზე უნდა ვთქვათ: - ვაი, ჩვენს პატრონს და უი, ბაკურიანის პარკს.**

**იმედი ვიქონიოთ: ბორჯომის და ბაკურიანის ხელმძღვანელობა ბოლოს მოუღებს ასეთ განუკითხაობას. „ღინტური“.**

**ოთარ გოცირიძე,**

**86 წლის, ბაკურიანის მკვიდრი 1947 წლიდან.**

## რა თანხაა საჭირო ბორჯომში გასასეირნებლად?!

**სტატიაზე მუშაობისას, რამდენიმე განსხვავება დავინახე ბორჯომში გასეირნების მსურველთათვის, ერთია, თუ ხარ ბორჯომელი, მეორე - საქართველოს მოქალაქე და მესამე - უცხო ვიზიტორი.**

ფასებიც შესაბამისადაა განაწილებული. აი, მაგალითად, საქართველოს მოქალაქეებისათვის საბაგიროთი ერთი მიმართულებით მგზავრობა 6 ლარია, ხოლო უცხო ვიზიტორებისათვის 10 ლარი.

ასევე განსხვავებულია ბორჯომის ისტორიულ პარკში შესვლის ფასები. ტურისტებისთვის - 5 ლარი, საქართველოს მოქალაქეებისათვის - 2 ლარი და შეღავათებით სარგებლობენ 8 წლამდე ბავშვები, პენსიონერები, შშმ პირები, ომის ვეტერანები, სოციალურად დაუცველები და ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა, მოქმედებს 50% ფასდაკლება 16 წლამდე საქართველოს მოქალაქეებზე.

ზემოთხსენებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ლოგიკურად, ბორჯომში გასეირნება სტატუსის შესაბამის ხარჯებს დაუკავშირდება, თუ ხარ ბორჯომელი და ერთი დღით გადაწყვიტე მეგობრებთან და ბავშვებთან ერთად ცენტრალურ-ისტორიულ პარკში გასეირნება, გარკვეული შეღავათები აუცილებლად იმოქმედებს, თუმცა მშობლებს ერთ შვილზეც კი სოლიდური თანხის დახარჯვა მოუწევს, რადგან ატრაქციონებზე ამ შემთხვევაში სტატუსი ბორჯომელობა აღარ მოქმედებს. აქ, შეხვედებით ატრაქციონებს, როგორც პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში, ასევე კერძო პირების მფლობელობაში, ფასები 3 ლარიდან იწყება და 10 ლარამდე მერყეობს.

აქვე შეუძლია ვიზ-



იტორებმა დააგემოვნონ ბუნებრივი ბორჯომის მინერალური წყალი, რომლის მომსახურე პერსონალი ყოველთვის გულისხმიერად მასპინძლობს წყურვილის მოკვლის მსურველთა ცოცხალ რიგს.

უნდა ითქვას, რომ 9 აპრილის ქუჩაზე განთავსებულ მაღაზიებსა და კვების ობიექტებში პროდუქტებზე განსხვავებული ფასებია და ბევრად მეტი თანხის გადახდა გიწევს, ვიდრე ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე არსებულ ობიექტებზე. მაგალითად, ე.წ. „slaSi“-ს ღირებულება ავტოსადგურთან თუ 1.50 ღირს, პარკის შესასვლელთან მისი შეძენა 3 ლარადაა შესაძლებელი.

ჩვენთან საუბრისას, მშობლები აღნიშნავენ, რომ შვილებთან ერთად პარკში სეირნობა დღეში 50-100 ლარი უჯდებათ.

- 2 შვილი მყავს, ატრაქციონები ბავშვების ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევს, რთულია უარი უთხრა და გული დაწყვიტო, მაშინ არ უნდა გამოასეირნო პარკში. მათი ერთი დღით აქ ყოფნისთვის 150 ლარია საჭირო. გამაგრილებელი სასმელი, ნაყინი, ბატიბუტი, უამრავი ფერადი მიმზიდველი სათამაშო... ყველაფერი სურთ ბავშვებს. ერთს რომ ვუყიდი, მეორეც ირჩევს და ასე, ზღაპრულ გარემოში უნდა ავუსრულოთ პატარებს ოცნებები, - **ლელა ლომაძე,** 30 წლის.

მშობლების ნატვრა შვილების ბედნიერებაა. ადვილად შესამჩნევია გაბრწყინებული პატარების თვალები ატრაქციონების დანახვისას და სიტყვა აქ მინდა; ემოციები, შეგრძნებები, ჟრიამული დაუვიწყარია. აქ, ყველაფერი ფერადი და ბუნებრივია, თვალის შევლებისას ყველა და ყველაფერი ბრწყინავს. ასე უნდა ბრწყინავდეს ყოველი დღე განსაკუთრებით ბავშვებისთვის და სასურველია, არ ითვლიდნენ ხარჯებს ბედნიერი გულებისთვის.

**P.S. როგორ ჩანს, ბორჯომში დასვენება საქართველოს კურორტებს შორის ერთ-ერთი ძვირი სიამოვნებაა. ეს არაერთხელ უთქვამთ კურორტზე ჩამოსულ სტუმრებს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს ხეობაში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა.**

**იზა იანვარაშვილი**

### ჟურნალისტის სვეტი

## „ამაყი“ ამ წუთისოფელში!



**იზა იანვარაშვილი**

**ყველაფრის პოლიტიზირება დამთრგუნველია, დამძაფვრელია საზოგადოებისათვის. იგი მომავლის სინათლის დაკნინებას, დაკარგვას ჰგავს. ვინც წაიკითხა და გაიგო, აუცილებლად დააფიქრებდა ეროვნულ გამოცდებზე თემის ირგვლივ გახმაურებული პოლიტიზირება. დამაფიქრა, კითხვებიც და პასუხებიც ბევრი გაჩნდა, მოსაზრებებიც გამოითქვა, პასუხის პასუხიც დაიწერა და მაინც ნათქვამი ნათქვამად დარჩა.**

**მკითხველისთვის მიმინდვია ანალიზი. მე შემოგთავაზებთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განცხადებას.**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ეხმიანება მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის ერთ-ერთი დავალების შესახებ. გაცნობებთ, რომ აღნიშნულ დავალებაში მოცემული იყო ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოები „ამაყი“, რომელიც ეხება თავისუფლებისათვის ბრძოლის თემას. ამ ტექსტს მოჰყვებოდა 10 კითხვა არჩევითი პასუხებით. ამის შემდეგ მოცემული იყო მითითება ტექსტის ანალიზისთვის, რასაც ასეთი შინაარსი ჰქონდა: აქვს თუ არა აზრი ბრძოლას, თუ დამარცხებისთვის ხარ განწირული??**

**სამწუხაროდ, ზოგიერთი მედიასაშუალებისგან აღნიშნულ საკითხს მოჰყვა არასწორი ინტერპრეტაციები და გავრცელდა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა, რამაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა.**

**ვინაიდან, 3 ივლისს დაიწყო გამოცდები და რეგისტრირებულია 90 000-ზე მეტი გამოსაცდელი, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიგვაჩნია საკითხის პოლიტიზირება, რადგან მსგავსი ტიპის ინფორმაციებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აპლიკანტებზე. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ცდილობენ გამოცდების პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებას, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.**

**თითოეული ჩვენგანის მიზანია, მივცეთ აბიტურიენტებს ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ითხოვს ტექსტის გამოქვეყნებამდე თავი შევიკავოთ მისი შეფასებებისაგან. მანამდე კი დაინტერესებულ საზოგადოებას თავად შეუძლია გაეცნოს ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებს.**

**ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოები „ამაყი“, თუ ჯერ არ წაგიკითხავთ, გაეცანით, სიღრმისეულად ჩაწვდით და გააანალიზეთ ტექსტი და მართლაც არ დავკარგოთ სიამაყე, ამ წუთისოფელში**

# ვულოცავთ!
# გამარჯვებულების დიდი აღიარება

გაზეთ „მამული, ენა, სარწმუნოება“-ს რედაქცია, (მთავარი რედაქტორი **იზოლდა (ნანული) ბურძგლა**, პედაგოგიკის დოქტორი), სისტემატიურად აწყობს ინტელექტულურ გამოკითხვებს, რაც მკითხველთა შორის დიდ ინტერესს იწვევს. ამჯერად გამოკითხვა მიეძღვნა მეტად სახალისო და საინტერესო თემას - ვინ მიგაჩნიათ „გემოვნებიან“ პიროვნებად (მამაკაცად და ქლბატონად). გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით, სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა ექვს-ექვსი გამარჯვებული, მათ შორის არიან:

ფილოსოფიის დოქტორი - **ირაკლი ბათიაშვილი;**
თბილისის მერი - **კახი კალაძე;**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი - **ვალერიან ლომიძე;**
დედოფლისწყაროს ტელევიზიის დამფუძნებელი - **ილია მარტყოფლიშვილი;**
მიკროავტობუსის პროფესიონალი მძღოლი, არაერთ ნომინაციაში გამარჯვებული - **ამირან ქისტაური;**
დირიჟორი - **გოგი ქიქინაძე;**
დედოფლისწყაროს ექიმი თერაპევტი - **ხათუნა აგლაძე;**
თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი - **მარინა კახიანი;**
ფილოლოგიის დოქტორი - **მარინა მაჭავარიანი;**
მხატვრული ქარგვის ფერმწერი - **ლია მაისურაძე;**
„2015 წლის საუკუნის ლეგენდა“ ნომინანტი, რძის ქალაქის მენეჯერი - **თამარ მოძღვრიშვილი;**
ბორჯომის მუსიკალური სკოლის დირექტორი - **მარინა ქიტიაშვილი.**

გამარჯვებულებს ვულოცავთ ამ დიდ აღიარებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს. გამარჯვებულთა სალონური შეხვედრა გაიმართება მიმდინარე წლის შემოდგომაზე დედოფლისწყაროში, თარიღი გეცნობებათ.

გაზეთ „მამული, ენა, სარწმუნოების“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი - **ნანა ქიქინაძე.**

# „სამოთხეში“ მოპარული ვარდები



**ბორჯომი!..** - თუ არსებობს სამოთხე, - ეს ბორჯომია! ეს მითიური სიტყვები გენიალურ კომპოზიტორს პეტრე ჩაიკოვსკის ეკუთვნის... რომელსაც, თურმე, თავისი უკვდავი ბალეტის გედის ტბის უვერტიურის პირველი ჰანგები ბორჯომში შეუქმნია?

რაოდენ ბევრი საამაყო ისტორიული ფაქტია დაკავშირებული ჩვენი საქართველოს ულამაზეს კურორტთან, რომელსაც ასევე მარგალიტს ადარებენ სამოთხის ანალოგიურად.

ბორჯომის ახლადარჩეულმა მუნიციპალიტეტმა მართლაცდა თვალსაჩინო აქტივმა დიდი მზრუნველობით და რუდუნებით დაიწყო ბორჯომქალაქის ესთეტიკური და არქიტექტურული ინფრასტრუქტურის გენერალური რეკონსტრუქცია. ერთ-ერთი მათგანი ქალაქის ცენტრში, №1 საჯარო სკოლის და სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის ფეშენებელური აღორძინება დაამთავრა! - გაშენდა მართლაცდა სამოთხის ედემის ბაღი, - დაირგო უნიკალური დეკორატიული ვარდები... რა სასიამოვნოა ამ სილამაზის აღქმა... მაგრამ,.. მაგრამ, - გთხოვთ ბორჯომელებო და სტუმრებო, დააცადეთ ვარდების კვირტებს გაფურჩქვნა, რატომ წყვეტთ (თუ იპარავთ?!.) ამ სილამაზეს?.. რატომ არ აცლით ბორჯომში, რომ მუდამ სამოთხე იყოს?.. ნუ ავატირებთ ვარდებს, მსგავსად ვაჟას ხმელი წიფელისა, რომლის ცრემლები დღემდე ჩვენს გულებს გვითუთქავს...

ამას წინ დავაკვირდი სკვერში გაშენებულ როზარიუმს და გული შემეკუმშა... - ვარდები სულ დაკრეფილი იყო!.. ეს ხომ ის ყვავილია, რომელსაც დიდმა ჩვენმა მსოფლიო მგოსანმა, შოთა რუსთაველმა განსაკუთრებული სტრიქონებიც კი მიუძღვნა: - „ვარდი გააპის, გამოკრთვის, მუნ ბროლი გამომჭვირვალი!“ - დააცადეთ სიცოცხლე ბუნების მშვენებას, სადაც ჩვენვე ვცხოვრობთ, დავაცადოთ სიცოცხლე ვარდებს, რომლებიც ჩვენივე სიცოცხლის ბოლოს, ჩვენივე საფლავებზე გვეფინებიან...

**რუსლან ჯანიძე (ჯანგობეგოვი).**

# დაირგო ყვავილები



სალვია, ბეგონია, პეტუნია, იმპატიენსი, ტაგეტისი, პორტულაკი - ეს ის ყვავილებია, რომლებიც ა(ა)იპ „ბორჯომი გამწვანება“ 2012-ის თანამშრომლებმა ქალაქის მთავარ ქუჩებზე არსებულ თარგებში, პარკებსა და სკვერებში დარგეს.

ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს სკვერებში და სხვა გამწვანებულ ტერიტორიებზე დეკორატიული ხე-მცენარეების გასხვლა-ფორმირება და მწვანე საფარის გათიბვის სამუშაოები



# სამადლობელი წერილი რედაქციას

**7 ივლისს** მესხეთის ქუჩაზე ბადრიაშვილების დასახლებაში ძლიერმა ქარმა ფესვიანად მოთხარა ასწლოვანი გადაბერებული ალვის ხე. ხის დაცემის შედეგად დაზიანდა სილქნეტის კაბელები, გაზის მილები და ჩაიკეტა სამანქანო გზა. დავუკავშირდით მერის თანაშემწეს ბატონ **თედო მელიქიძეს** და ვუამბეთ ჩვენი გასაჭირის შესახებ. მან ჩვეული დინჯი ხმითა და თავმდაბლობით მოგვისმინა და ნახევარი საათი არც კი იყო გასული, რომ ზედამხედველობის და კეთილმოწყობის სამსახური ადგილზე მოვიდნენ სამუშაო ტექნიკით, გაასუფთავეს გზა და მოიყვანეს პირვენდელ მდგომარეობაში.

უდიდესი მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას, მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ოთარ არბოლიშვილს,** წესიერი და პატიოსანი თანამშრომლებისა და გულისხმიერი გუნდისათვის, რომლებმაც საჭირო დროს უსწრაფესი რეაგირება მოახდინეს.

**მესხეთის ქუჩის მაცხოვრებლების სახელით დალი გორგოძე და დალი ზაქარეიშვილი**

# იყიდება

ქ. ბორჯომი, დავით აღმაშენებლის ქ. №24-ში 4 ოთახიანი ბინა დამხმარე ნაგებობებით და სოფ. ჩითახევში 643 კვმ მიწის ნაკვეთი, კოდი 64.24.01.092.
ტელ: 577 270 665 - ზვიადი, 599 572 715 - დავითი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.
borjomi@inbox.ru

# „კულტურათა სოლიდარობის“ ფესტივალის მონაწილეები ბორჯომში



**ბორჯომის** ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში, ღია ცის ქვეშ, ცეკვის და სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „კულტურათა სოლიდარობა“ გაიმართა.

საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ ესტონეთის ფოლკლორული სიმღერის და ცეკვის ანსამბლები, ასევე საგარეჯოს მუსიკალური ანსამბლი.

საერთაშორისო ფესტივალს ესწრებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე,** მერის თანაშემწე კულტურის დარგში **გიორგი ბუგიანიშვილი,** მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების უფროსი **შალვა გოგოლაძე.**

საერთაშორისო ფესტივალი „კულტურათა სოლიდარობა“ მულტი და ეთნოკულტურული პროექტების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებითა და ბორჯომის მერიის ხელშეწყობით გაიმართა.

# შურიკო (ალექსანდრა) ტურაბელიძის ხსოვნას



ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, შესანიშნავ ქალბატონს შურიკო ტურაბელიძეს ბორჯომის საზოგადოება კარგად იცნობდა. ქალბატონმა შურამ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბორჯომის კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში გაატარა, ტელეგრაფისტად იმსახურა. აქ გაიცნო მომავალი მეუღლე შოთა ტურაბელიძე, ორივემ ერთგული და პატიოსანი მუშაობით ხელმძღვანელობის და საზოგადოების დიდი სიყვარული დაიმსახურეს. განსაკუთრებული შრომისმოყვარეობისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მათ ოჯახურ არქივში უამრავი ჯილდო ინახება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად ქალბატონი შურიკო თვლიდა 1966 წელს მიღებულ შრომის წითელი დროშის ორდენს, 2001 წელს მიღებულ ღირსების ორდენს და 2012 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადმოცემულ მადლიერების სიგელს.

2001 წელს ბატონი შოთა და ქალბატონი შურა ქალაქის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს. ქალბატონ შურას ტკბილ მოგონებად მუდამ ახსოვდა 1937 წელს მოსკოვში გამართული საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დეკადის გამართვა, რომლის მონაწილეც თვითონ გახლდათ, მაშინ 7 წლის იყო. ქართული „კინტაურით“ დამსწრე საზოგადოება გაოცებული და აღფრთოვანებული დატოვა, საზეიმო ვახშამზე კი პატარა მოცეკვავე სტალინის მუხლებზე იყო წამოსკუპებული და ნუგბარს მიირთმევდა. იგი დეკადის ერთადერთი მონაწილე იყო ბორჯომიდან.

ტურაბელიძეების ოჯახმა დიდი ტკივილი განიცადა ახალგაზრდა შვილის გურამის, შესანიშნავი ექიმის უდროოდ გარდაცვალების გამო.

ქალბატონი შურა ხშირად აღნიშნავდა რძლის - მანანა თვაურის ამაგსა და სითბოს, რომელიც ხშირად სთხოვდა მასთან გადასვლას, თუმცა ქალბატონი შურიკოს პასუხი ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი იყო: - არ შემიძლია სხვაგან წასვლა და იმ სახლის მიტოვება, საიდანაც შოთა უკანასკნელ გზაზე გავაცილეო.

სამწუხაროდ, რთულია ამჯერად უკვე წარსულ დროში ისაუბრო ადამიანზე, რომელიც უკვე სულ რამდენიმე დღეა გამოაკლდა ბორჯომის საზოგადოებას. ქალბატონი შურიკო 7 ივლისს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა ქვეყნის და ოჯახის წინაშე ვალმოხდილი ქალბატონი.

**ოჯახი.**

# ხათუნა რაზმაძის ხსოვნას!



რა ცუდად არის მოწყობილი წუთისოფელი. დედას უნდა იგონებდე, მე კი შენ გიგონებ, ჩემო ხათუნავ. უკვე მერამდენე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ჩემო საუკეთესო და მრავალმხრივ განათლებულო შვილო, სიხარული და ბედნიერება შემოგქონდა ჩვენს ოჯახში. უზომოდ გიყვარდა შენი მეგობრები და ახლობლები, ყველგან სიკეთეს თესდი. ამაყობდი შენი პროფესიით. გიყვარდა შენი მოსწავლეები. ბევრი კარგი საქმის კეთება გინდოდა, მაგრამ არ დაგაცადა სიკვდილმა.

ახლა და-ძმა ერთად ხართ, დედა კი თქვენს მოგონებებში ათენებს.

ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს თქვენს სულს, მარად ჩვენს ხსოვნაში ხართ.

**დედა ვენერა რაზმაძე, ძმა ბესიკ რაზმაძე, რძლები: სოფიო ლომიძე, თამარ მჟავანაძე.**



შვილი მარინა, და ზაირა გაბრიელოვა, რძალი მანანა თვაური, სიძეები გოგი ნატროშვილი, დავით ჩხიკვაძე, შვილისშვილები მაია, დათო ტურაბელიძეები, გურამ, რუსუდან ფხაკაძეები, დათო აგლაძე, დისშვილი ნატო ნატროშვილი, შვილთაშვილები: გიორგი, ნიკოლოზი, თამარ ჩხიკვაძეები, ნათესავები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შურიკო (ალექსანდრა) ტურაბელიძე**

დაიკრძალა 10 ივლისს, რუსთაველის №79.



მეუღლე თამილა, შვილები გურამი, ლექსო, დედმამისშვილები ნატო, დარეჯან რაზმაძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იოსებ (სოსო) რაზმაძე**

დაიკრძალა 12 ივლისს.

უახლოესი მეზობლები სამძიმარს ვუცხადებთ მარინა ტურაბელიძეს დედის

**შურიკოს**

გარდაცვალების გამო. ვიზიარებთ მწუხარებას და ვუსურვებთ გამძლეობას. მეზობლები.

სვეტა ხაჩიძე ღმა მწუხარებით იუწყება და სამძიმარს უცხადებს ზაირა გაბრიელოვას დის

**შურიკო ტურაბელიძის**

გარდაცვალების გამო.

დავით აღმაშენებლის ქუჩის №35 კორპუსის მცხოვრები ახლო მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი პიროვნება

**შურიკო ტურაბელიძე**

და თანაუგრძნობენ მარინა ტურაბელიძეს და მანანა თვაურს და ზაირა გაბრიელოვას.